



ოქმი #3
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2019 წელი, 28 იანვარი
ქ. ოზურგეთი
11.00 – 12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ლ.საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ალ.სურგულაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია, მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს ერთი საკითხის - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნის შესახებ“.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით განკარგვაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე
ალეკო მამეიშვილი
გოჩა კილაძე

ამ საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაგამ დასვა შეკითხვა- რატომაა 9 - ათას კვ.მ. სასოფლო -სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საიჯარო ქირა წელიწადში მხოლოდ 946 ლარი ? განუმარტეს, რომ საიჯარო ქირა განისაზღვრება აუდიტის მიერ შეფასებული ღირებულების 7% -ით. მანვე გამოთქვა აზრი, რომ ეს საკითხი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან რადგან, კანონმდებლობის თანახმად, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა მერიის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და არ საჭიროებს საკრებულოს თანხმობას. სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ ჯერ კენჭი უყარა მერიის წარმოდგენილი პროექტის დღის წესრიგში დარჩენას -მომხრე-1, წინააღმდეგი -10, შემდეგ ამოღებას-მომხრე -10, ერთმა კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა, ამდენად საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე
გია მამაკაიშვილი
გიორგი ჩაგანავა

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე
გიორგი ჩაგანავა
ალექსანდრე ბერაძე

ამ საკითხზე ბიუროს წევრები შეთანხმდნენ: განხილული იქნას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიებში და მორიგ ბიუროს სხდომაზე წარმოადგინონ დასკვნები.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე
ლაშა თავაძე

ამ საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა გ.ღურჯუმელიძემ იკითხა- მუნიციპალიტეტის მერიას მოფიქრებული აქვს თუ არა ამ დადგენილების რეალურად ამოქმედების წამახალისებელი ღონისძიებები?

კომისიის წევრები შეთანხმდნენ: ეს საკითხი წინასწარ განხილული იქნას შესაბამის კომისიებში მომდევნო ბიუროს სხდომაზე წარმოადგინონ დასკვნები, ამასთან

გადაგზავნილი იქნას სამართლებრივი ექსპერტიზისათვის მთავრობის შესაბამის ორგანოში.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხს: გ. დურჯუმელიძე

ამ საკითხზე ბიუროს წევრები შეთანხმდნენ: ემსჯელათ საკრებულოს სხდომაზე და შედეგები ეცნობებინათ მუნიციპალიტეტის მერიისათვის.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი ამოღებულ იქნას დღის წესრიგიდან.

2. N 2, 5 საკითხი-შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3. N 3, 4 საკითხები წინასწარ განხილული იქნას დარგობრივ კომისიებში და შესაბამისი დასკვნები წარედგინოს ბიუროს მომდევნო სხდომას.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

